



5) հազնեց

Երևան -

7.00

Անօսման

1. Առ դուշտա -
- 2 Յա լուսագոյնից
3. Խջողեն անձնագիր պահպան
4. Ինչեւս 1-5000
5. Ցըլես Եվյուն Եղիսաբէթին
6. Յանիկիլյան Զահենի Տիգրան
7. Գւշտա - ՏԱ. Անդրեաս Շահմանին
8. Հանգու Կիյանու աղջու
9. Կանաչելու ըստ Կիշունան
10. Մայուսիստ Սկուլու յուղան

7.00

Übz p 163

6-361300

zum Abdruck



ଶର୍ମିଳା

შალვა ნათარე.

ეროვნული საკითხები



გამოცემა „გუთინისა“ № 7.



თბილისი.

ელექტრომძეჭდავი მ. ხელაძისა, სოლოლ., პასკევიჩის ქ. № 3.
1906.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 24 апРѣля 1906 г.

ეროვნული საპითხი

დიდი ხანი არის მას შემდეგ, რაც რუსეთის ცა მთლად მოღრუბლული იყო! „არსად არ სჩანდა ნათელი ალაგი“. მოღრუბლულ და მრისხანე ცის ქვეშ გმირულად იღუპებოდნენ თავისუფლებისათვის თავ-განწირული მებრძოლნი. ამ ბრძოლაში რუსეთის მძლავრი ბიუროკრატია არავითარ საშუალებას არა თაკილობდა. ერთ ერს მეორეს უსევდა და ამით თავის მოწინააღმდეგეთა ძალას ასუსტებდა. მაგრამ ცხოვრება საკვირველის სისწრაფით ვითარდებოდა. 9 იანვარს რუსეთის მუშა ხალხმა დამარხა მთავრობისადმი ნდომა, მას შემდეგ დაიწყო წამდვილი რევოლიუციონური ბრძოლა თუ აქამდის მხოლოდ რუსეთის განაპირა კუთხეები—პოლონეთი, ლიტვა, საქართველო, ფინლანდია და სხვა ადგილები, იყო მოდებული რევოლიუციის ალით, ეხლა აზვირთდა რუსეთის შუა გულიც, მაგ., მოსკოვი.

17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ, რუსეთის ცას ცისარტყელა გადაეკრა, რომელიც უკე-

*) აქამდის ქართულ გამოცემებში, როგორც კერძო, ისე პერიოდიულში, იბეჭდებოდა წერილები მხოლოდ ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიის შესახებ; რადგანაც წმინდა ერთგულ ავტონომიის შესახებ ჩვენს მწერლობაში თითქმის არაფერი დაწერილა, საჭიროდ მიგვაჩნია ცალკე წიგნაკად გამოცემა იმ წერილისა, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინად გაზეთ „შრომა“-ში იყო დაბეჭდილი. გამომც.

თეს დღეებს პპირდება ტანჯულ ქვეყანას. არ მოი-
პოვება ეხლა ისეთი კაცი, რომელიც დარწმუნებუ-
ლი არ იყოს, რომ ბიუროკრატიულ წეს-წყობილების
დღენი დათვლილია, მართალია, 17 ოქტომბრის
დაპირებას არავითარი ფასი არა აქვს, მართალია,
ჯერ ბრძოლა არ გათავებულა, მაგრამ, ეჭვს გარე-
შეა, რომ ოქტომბერში დაიწყო მუშა ხალხმა გა-
მარჯვება. შორს არ არის ის დრო, როდესაც მუ-
შა ხალხი პოლიტიკურ უფლებებს მოიპოვებს და
მედგარ თავისუფალ ბრძოლას დაუწყებს ბურუუა-
ზიას. ამ მომენტისათვის მუშა ხალხი უკვე მომზა-
დებულია, მას შშეენივრადა აქვს შემუშავებული
პროგრამმა და გეგმა მოქმედებისა.

სამწუხაროდ, ესევე არ შეიძლება ვთქვათ
ეროვნულ საკითხის შესახებ. ეროვნული სა-
კითხი მეტის-მეტად რთული საკითხია, სხვათა შო-
რის იმიტომაც, რომ ხშირად ეროვნულ ინტერესების
სახით რომელიმე კლასი თავის ინტერესებს წა-
მოაყენებს ხოლმე. იმიტომ საკვირველი არ არის ის
გარემოება, რომ ამ საკითხის შესახებ იმდენივე აზ-
რია, რამდენი პარტიაც არსებობს. ზოგი იმ აზრი-
საა, რომ ეროვნულ საკითხის გადაწყვეტა სრული-
ად საჭირო არ არის; როდესაც რუსეთში ძველი
წეს-წყობილება დაინგრევა და მოქალაქობრივი თა-
ვისუფლება გამეფდება, ეროვნული საკითხი თავის
და თავად გადაწყდება. ამ აზრის მიმდევრებს ადგი-
ლობრივ და ნაციონალურ ავტონომიის გაგონებაც
კი აბრაზებთ. ეს აზრი გავრცელებულია გაბატონე-
ბულ ეროვნების ბურუუაზიაში, ამ კლასს ძვალსა
და რბილში გამჯდარი აქვს ასსიმილიატორული
ინსტინქტები. რუსის ბურჯუაზია შიდა ბაზრის მო-
ნოპოლიზაციას ეტრფიალება და ამიტომ სურს მო-
ისპოს ყველა ის დაბრკოლება, რომელიც ხელს
უშლის ამ საქმეს. ერთი დაბრკოლება რუსეთში

სხვა-და-სხვა ერის არსებობაა, რომელნიც სხვა-და-სხვა ენაზედ ლაპარაკობენ. ეს განსხვავება ენაში ისევე აბრკოლებს ერთსა და იმავე სახელმწიფოში თავისუფლად საჭიროის გაცვლა-გამოცვლას, როგორც დამოუნები სხვა-და-სხვა სახელმწიფოებს შორის. ამიტომ რუსის ბურუუაზია სცდილობს, მოსპოს ენის განსხვავება, გაარუსოს ერები, ამიტომაც მისი დევიზია: „ძირს ნაციონალიზმი, გაუმარჯოს კოსმოპოლიტიზმს!“

თუ გაბატონებულ ერის ბურუუაზიის კლას-სობრივი ინტერესები სხვა-და-სხვა ერის ასიმილიზიაციას მოათხოვს, დაჩაგრულ ეროვნების ბურუუაზია იმავე მისწრაფებით წინააღმდეგ უკიდურესობაში ვარდება. მას არ შეუძლია მოიპოვოს შიდა ბაზარში ახალი ადგილი, მაგრამ იგი მთელის ძალით სცდილობს შეინარჩუნოს ის, რაცა აქვს, ესე იგი ეროვნული ბაზარი. ამიტომ არის, რომ დაჩაგრულ ერის ბურუუაზია მზადაა მხარი დაუკიროს ყოველნაირ უკიდურეს ნაციონალურ მოთხოვნილებას, სეპარატიზმისაც კი. ეს აზრი ცხოვრებაში ნათლად მტკიცდება. სანამ შლეზვიგი დანიას ეკუთვნილა, გერმანიის ბურუუაზია დანერებს ებრძოდა, ვითომდა გერმანელების დასაცავად და ეროვნების თანასწორობისთვის. ეხლა კი, როცა შლეზვიგი გერმანიას ეკუთვნის, იმავ „ეროვნების თანასწორობის“ მომხრე ბურუუაზია დანიის ერს სჩაგრავს. ავსტრიაში სხვა-და-სხვა ერნი თავისუფლებისთვის იბრძოდნენ და იმავე დროს თავის სამფლობელოში თავისზე უძლურ ეროვნებას სჩაგრავდნენ.

თუ ასე იქცევა ბურუუაზია, თუ იგი ნაციონალურ საკითხს თავის კლასსობრივ ინტერესების დაგვარად სწყვეტავს, რასაკვირველია, მუშა ხალხიც ასევე უნდა მოიქცეს, ესე იგი შეიგნოს თავი-

სი კლასსობრივი ინტერესები და ისეთი ნაციონალური პროგრამმა შეიმუშავოს, რომელიც ლოგიკურად გამომდინარეობდეს ამ თვით შეგნებიდან, მუშა ხალხის კლასსობრივ ინტერესებს იცავენ სოციალისტები და ამიტომ ნამდვილმა სოციალისტურმა პარტიამ ისე უნდა გადაწყვიტოს ეროვნული საკითხი, როგორც სოციალიზმი და სოციალისტურ კლასის ინტერესები მოითხოვენ.

მთელ დედამიწის ზურგზედ არ იპოვება მუშათა ისეთი ჯგუფი, რომელიც თავის თავს არ იკუთვნებდეს ამა თუ იმ ერს. ისეთი განვითარებული პროლეტარიატიც-კი, როგორც გერმანიაშია, პატრიოტულ გრძნობებით არის გამსჭვალული. მუშა ხალხი იბრძვის თავის კლასსობრივ ინტერესების დასაქმაყოფილებლად, და ამავე დროს არ ივიწყებს, რომ იგი ამ ერს ეკუთვნის, და თუ იმის ერს რაიმე ხითათი მოელის, იგი მზად არის იბრძოლოს ამ ერის დასაცველად. ეს ეროვნული ბრძოლა იმდენად ბუნებრივი და ძლიერია, რომ მუშა ხალხი ხშირად დაივიწყებს ხოლმე თავის კლასსობრივ ანტოგონიზმს და ეროვნულ ნიადაგზედ ბრძოლაში უერთდება მოწინააღმდეგე კლასსებს. ეს ბურჟუაზიისთვის, რა საკვირველია, ხელ-საყრელია, რადგან იმისთვის საჭიროა, მუშა ხალხში კლასსობრივი თვით-შეგნება არ იყოს განვითარებული. რაც უფრო სუსტი იქნება ეს თვით-შეგნება, მით უფრო ადვილად შეეძლება ბურჟუაზიას მუშა ხალხის უზომო ექსპლოატაცია.

სოციალისტური პარტია სცდილობს სხვა და სხვა ერის მუშა ხალხი შეაერთოს ერთს ძლიერ კლასსობრივ არმიად; უამისოდ შეუძლებელია სოციალიზმის მოახლოვება. მაგრამ იმ სახელმწიფოში, სადაც ერთი ერი გამეფებულია, ხოლო სხვები დაჩაგრული, შეუძლებელია ეს შეერთება, რადგან

დაჩაგრულ ერის მუშა ხალხი ყოველთვის ჰერძნობს თავის ეროვნულ დაჩაგვრას, ამიტომ იმის კლასობრივ ბრძოლას ნაციონალური ბრძოლა უერთდება. მუშა ხალხი მხოლოდ მაშინ შესძლებს მედგარ ბრძოლას ბურუუაზის წინააღმდეგ, როდესაც ეს ბრძოლა მარტო კლასობრივი იქნება; მუშა ხალხი მხოლოდ მაშინ შეუერთდება მჭიდროდ სხვა ერგბის მუშებს, როდესაც იმისი ერი ისეთივე თავისუფალი იქნება, როგორიც სხვა ერია. ამიტომ სოციალისტური პარტია მოვალეა, გამოარკვიოს თვისი შეხედულება ეროვნულ საკითხის შესახებ და შეიმუშავოს ნათელი პროგრამმა.

პრინციპიალურად რუსეთის სოციალისტური პარტიები თანახმანი არიან, რომ საჭიროა მოისპოს ერისაგან ერის დაჩაგვრა და ერთისა და იმავე საქმისთვის საბრძოლველად შეაერთოს თავისუფალ ერების თავისუფალი მუშა ხალხი, მაგრამ ეროვნული პროგრამმა სულ სხვა და სხვანაირია. პოლონეთის „სოციალისტურ პარტიას“ ამ უკანასკნელ წლამდის პოლონეთის რუსეთისაგან განცალკევება სურდა. პოლონელებმა კულტურულ განვითარებით რუსებს ძალიან გაუსწრეს, მაგრამ არ შეუძლიანთ ისარგელონ თავიანთ განვითარებით და თავის მხარეში (კხოვრება უფრო სამართლიანად მოაწყონ, რადგან რუსის განუვითარებელი მთავრობა ამის ნებას არ მისცემს. ამიტომ პოლონეთის სოციალისტურ პარტიის სეპარატიზმი გასაკვირველი არ იყო. მაგრამ ეხლა, როდესაც რუსის მუშა ხალხმაც გაიღვიძა და მედგარ ბრძოლით ბიუროკრატიული წესწყობილება შეარყია, როდესაც თავისუფლების სიომდაპირება, პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ იგრძნო, რომ სეპარატისტული ელემენტი პოლონელ მუშა ხალხის ბრძოლაში განაცალკევებს მას წლების მუშებს, რაიცა თავისუფლებას დიდ ვნებას

მოუტანს, ამიტომ პარტიამ თავის პროგრამმიდან ამოშალა ის მუხლი, რომელიც პოლონეთის რუსეთისაგან განცალკევებას მოითხოვდა.

მეორე სოციალისტურ პარტიის, სოციალდემოკრატების პროგრამმაში ვკითხულობთ: „თვითგამორკვევის უფლება ყოველ ერისთვის“. ამ ფრაზაში მეტად დიდი შინაარსია, თუ მკითხველი კარგად ჩაუკვირდა. როგორ თვით გამორკვევაზედ არის ნათქვამი, კულტურულ თუ პოლიტიკურზე? ყოველ ერს რომ პოლიტიკურ თვით-გამორკვევის უფლება ჰქონდეს, მაშინ შეიძლება ბევრმა ერმა მოისურვოს რუსეთისაგან განცალკევება იმ აზრით, რომ დააარსოს მონარქია ან დესპოტია! ნუ თუ სოციალდემოკრატები ამისთანა თვით-გამორკვევას მხარს დაუჭერენ? რასაკვირველია, არა! მაშ რად არის ნათქვამი მხოლოდ სიტყვა „თვით-გამორკვევა“, რომელიც ამისთანა შედეგსაც შეიცავს? თუ სოც.-დემოკრატებს მხედველობაში აქვთ მხოლოდ კულტურულ თვით-გამორკვევის უფლება, მაშინ სხვა საქმეა, მაგრამ იმათ პროგრამაში ამის შესახებ კრინტიც არ არის დაძრული. ჩემის აზრით, ეს ბუნდოვანება აიხსნება ერთის მხრივ—ეროვნულ საკითხის არ სმენით, მეორეს მხრივ—მუშა ხალხის ინტერესების სუსტის შეგნებით. ამას თვით სოც.-დემოკრატები გვიმტკიცებენ. „სოციალ-დემოკრატებს გულ-დამშვიდებით შეუძლიანთ შეიცადონ და არ შეიმუშავონ დეტალური დეკლარაცია ეროვნულ საკითხის შესახებ: საკმაოა პრინციპიალური განცხადება პარტიისა, რომ ყოველ ეროვნებას უნდა თვით-გამორკვევის უფლება მიენიჭოს“. *) „ეს მოთხოვნილება (თვით-გამორკვევისა) ნიშნავს იმას, რომ ჩვენ, პროლეტარიატის პარტიია, ყოველთვის წინააღმდეგი ვართ

*) 『ზარია』, № 4, სტრიქონი—50.

ყოველ-გვარ ძალ-დატანებისა ეროვნულ თვით-გა-
მორკვევაში“. „ჩვენ წინააღმდეგნი ვართო!“ ო-
გორ მოგწონთ ასეთი პროგრამმა?! არა, თქვენ ის
გვითხარით, რის მომხრენი ხართ, რისთვის იბრძვით
და მაშინ იმასაც გავიგებთ, რის წინააღმდეგნი ხართ!
თორემ ისეთი ბუნდოვანი ფრაზები, ოფორტიც თვით
გამორკვევის უფლებაა და „წინააღმდეგნი ვართო“,
არც გულს და არც გონებას არაფერს არ ეუბნება.
ბარემ ეკონომიური პროგრამმაც ეგრე შეიმუშავეთ:
გამოაცხადეთ, რომ „წინააღმდეგნი ხართ უზომო
ექსპლოატაციის“, „გინდათ მუშა ხალხის ცხოვრე-
ბის გაუმჯობესება“ და სხვა. მაგრამ თქვენ პრო-
გრამმაში თხოულობთ 8 საათის სამუშაო დღეს და
სხვას. ეროვნულმა პროგრამამ რაღა დააშავა? თქვენ
ამბობთ, რომ ყოველი ერი უნდა თავისუფალი იყოს,
რომ ეროვნული დაჩაგვრა უნდა მოისპოს, რადგან
ამას პროლეტარიატის ინტერესები მოითხოვსო,
მაგრამ ყველა ეს მშვენიერი აზრი როგორა გსურთ
ცხოვრებაში გაატაროთ, რას თხოულობთ ერო-
ვნებისთვის, როგორც იმის კულტურულ თავისუ-
ფლების გარანტიას? ამ კითხვაზედ ს.-დემოკრატების
პროგრამა პასუხს არ გვაძლევს, ამიტომ ჩვენ თა-
მამათ შეგვიძლიან ვსოდვათ, რომ სოციალ-დემო-
კრატებს ნაციონალური საკითხი სრულიად არა
აქვთ შემუშავებული, რომ ერუვნული პროგრამმის
მაგიერად მათ გამოაქვეყნეს საერთო ფრაზა: „თვით-
გამორკვევის უფლება ყოველ ერს!“

დავანებოთ თავი სოციალ-დემოკრატებს და გა-
ვარჩიოთ იმათი აზრი, ვინც მომხრეა, ტერრიტო-
რიალურ ავტონომიისა და ფედერაციისა. ავტო-
ნომისტები და ფედერალისტები დარწმუნებულნი
არიან, რომ ეროვნების კულტურული და პოლი-
ტიკური დაჩაგვრა მოისპობა მაშინ, როდესაც რუ-
სეთის განაპირა კუთხეები ავტონომიას მიიღებენ

და დანარჩენ რუსეთის ავტონომიურ ნაწილებს ფე-
დერატიულად დაუკავშირდებიან. რასაკვირველია,
ყოველი ნამდვილი დემოკრატი მხურვალე მომხრე
უნდა იყოს ადგილობრივ ვრცელ ავტონომიისა,
მაგრამ უტოპიურია ის აზრი, ვითომ ავტონომია
უზრუნველ ჰყოფს ეროვნების თავისუფალ განვი-
თარებას. რაში მდგომარეობს ეროვნულ დაჩაგვრის
მიზეზი? მხოლოდ იმაში, რომ ეროვნება თვით არ
განაგებს თავის ეროვნულ საქმეებს. წარმოიდგინეთ,
რომ რუსეთში რესპუბლიკა დამყარდა; რუსეთის
პარლამენტს ირჩევს ხალხი საერთო, თანასწორ,
პირდაპირ და დახურულ კენჭის ყრით; ამ პარლა-
მენტის ხელშია მოელი სახელმწიფოებრივი უფლება.
შეუძლიან თუ არა ასეთ პარლამენტს ნაციონალურ
საკითხის სამართლიანად გადაწყვეტა? რასაკვირვე-
ლია, არა! პარლამენტში უმეტესობას რუსები შე-
ადგენენ, ესენი სხვა ერების წარმომადგენელების
შეერთებულ რიცხვსაც აღემატებიან. მაშასადამე,
ეროვნულ საკითხის ბედ-ილბალი რუსებმა უნდა გა-
დასწყვიტონ. თუ რუსების და სხვა რომელისამე
ერის ინტერესები შეეჯახნენ, პარლამენტი, რასა-
კვირველია, რუსების სასარგებლოდ გადასწყვეტს
საქმეს. რესპუბლიკაშიაც დარჩება ეროვნების და-
ჩაგვრის მიზეზი და ამიტომ თვით დაჩაგვრაც არ
მოისპობა.

ეხლა წარმოვიდგინოთ, რომ რუსეთში ცენტ-
რალისტური რესპუბლიკა კი არ არის, არამედ ავ-
ტონომიური ან ფედერატიული, მაშინ ცენტრალურ
პარლამენტის ფუნქციები დანაწილდება და ადგი-
ლობრივ სეიმის ხელში გადავა. ყოველ ავტონო-
მიურ პროვინციის სეიმს უფლება ექნება გამოსცეს
ადგილობრივი კანონები, თვით განავის ადგილობ-
რივი საქმეები და სხვა, მხოლოდ ცენტრალურ პარ-
ლამენტის თანხმობით. ფედერაციის დროს კი სე-

იმის უფლება უფრო ფართო იქმნება. მაშინ ცენტ-რალურ პარლამენტს სრულებით არ ექმნება უფ-ლება ჩაერიოს ადგილობრივ საქმეებში. მაშინ ყო-ველ მხარეს ეყოლება თვისი მთავრობა და თვისი. სეიმი, ყოველი ადგილობრივი საქმე გადაწყდება იქვე იმის და მიუხედავათ, მოსწონს ეს თუ არა ცენტრალურ პარლამენტს. ცენტრალურ პარლა-მენტს მხოლოდ ისეთი საქმეები დაექვემდებარება, რომელიც ეხება მთელს სახელმწიფოს, როგორც, მაგალითად, ომის და ზავის გამოცხადება, სხვა სა-ხელმწიფოებთან ხელშეკრულობის დადება და სხვა. მაგრამ ვერც პირველსა და ვერც მეორე შემთხვე-ვაში ეროვნული საკითხი სამართლიანად ვერ გა-დასწყდება. ვერც ავტონომია და ვერც ფედერაცია ერების კულტურულ თვით შეგნების უფლებას უზ-რუნველს ვერა ჰყოფს. მაგალითად, ავილოთ პო-ლონეთის ავტონომია. წარმოვიდგინოთ, რომ პო-ლონეთი ირჩევს სეიმს საერთო პირდაპირ, თანას-წორ და დახურულ კენჭის ყრით. ეს სეიმი განა-გებს ყველა იმ საქმეს, რომელიც ეხება პოლონეთს, ესე იგი, ერების კულტურულ ინტერესების ბედ-ილბალიც ამ სეიმის ხელში იქმნება. სეიმის უმრავ-ლესობას, რასაკვირველია, პოლონელები შეადგე-ნენ, უმცირესობას ებრაელები, რუსები, გერმანე-ლები და სხვანი... ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი სეი-მი პოლონელების კულტურულ ინტერესებს მტკი-ცედ დაიცავს, მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით ებრაე-ლების, რუსების და სხვა ერების შესახებ. ისეთი საქმე, რომელშიაც შეეჯახებიან პოლონელების და რომლისამე სხვა ერის ნაციონალური ინტერესები, უთუოდ პოლონელების სასარგებლოთ გადასწყ-დება. მაგრამ არ გევონოთ, რომ პოლონელების ეროვნული ინტერესები დაცული იქნება ყველგან, თუ პოლონეთს ავტონომია ექმნება. სრულებითაც

არა! ბალტიის მხარეში, სადაც პოლონელები უმკირესობას შეადგენენ, პოლონელებსაც ისეთივე ბედი ეწვევათ, როგორიც ებრაელებს, რუსებს და სხვა ერებს ავტონომიურ პოლონეთში.

რაც შეეხება ისეთ ერებს, რომელთაც ტერიტორია არა აქვთ, როგორც, მაგალითად, ებრაელებსა და სომხებს, ამათ ტერიტორიალური ავტონომია არაფერს არ მოუტანს. ასეთი ერები ყოველ ავტონომიურ მხარეში ჩაგრულნი იქნებიან, რადგან სეიმში ისინი ყოველთვის უმცირესობას შეადგენენ. რუსეთი რომ ფედერატიულ სახელმწიფოდ გადაიქცეს, მაშინ ყოველ იმის ავტონომიურ ნაწილში გაბატონდება ერთი ერი, სხვები კი დაიჩაგრებიან. რუსეთში არ იქნება არც ერთი ეროვნება, რომლის კულტურული მოთხოვნილებანიც მთელ სახელმწიფოში დაკმაყოფილებულ იქმნას. სხვა და სხვა ერის დაჩავრის მიზეზად ის გარემოება უნდა ჩაითვალოს, რომ იმის კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ბედ-ილბალი ცენტრალისტურ რესპუბლიკაში პარლამენტის უმრავლესობის ხელშია, ხოლო ავტონომიურ ან ფედერატიულ სახელმწიფოში — სეიმის უმრავლესობის ხელში. როგორც პირველს, ისე მეორე და მესამე შემთხვევაში უმრავლესობას ერთის რომელისამე ერის წარმომადგენლები შეადგენენ, ეს უმრავლესობა თავის ეროვნებას უპირატესობას მისცემს და სხვებს დასჩაგრავს.

აქედან, რასაკვირველია, შეუძლებელია ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ აღგილობრივი ავტონომია საჭირო არ არის! საჭართველოში, პოლონეთში, ფინლიანდიაში და რუსეთის სხვა ნაწილებში მხოლოდ რომ რუსები სცხოვრობდნენ, მაშინაც კი დემოკრატიული პარტია ამ ნაწილების ვრცელ ავტონომიის მომხრე უნდა იყოს. მე მხო-

ლოდ ვამტკიცებ, რომ ავტონომია სწყვეტს აღ-
გილობრივს, ტერიტორიალურ საკითხს, და არა
ეროვნულს, რომ ბევრი ავტონომიის და ფედერა-
ციის მოტრფიალე ამ ორს საკითხს ერთმანეთში
ურევს.

რუსეთში არსებობს ორი პარტია, რომელიც
ამ ორს საკითხს შორის ნათელ საზღვარს სდებს. მე
ვამბობ ებრაელ მუშათა კავშირ „ბუნდი“-სა და სო-
ციალისტ-რევოლიუციონერების შესახებ. სოციალ-
რევოლიუციონერები მომხრენი არიან ადგილო-
ბრივ კრცელ ავტონომიისა, მაგრამ, მათის აზრით,
ეროვნულ კულტურულ თვით-გამორკვევის უზრუ-
ნველ-ყოფისათვის საჭიროა, რომ ეროვნული საქმე
არ იყოს არც ცენტრალურ პარლამენტის და არც
ავტონომიურ სეიმის ხელში, რადგან არც პარლა-
მენტი და არც სეიმი სამართლიანად არ გადასწყვე-
ტავს ეროვნულ საკითხს. მაში რა საშუალებაა სა-
ჭირო, როგორც ნაციონალურ კულტურულ თვით-
გამორკვევის გარანტია?

სოციალისტ-რევოლიუციონერების პროგრამაში
კითხულობთ: „იმ მხარეში, საღაც სხვა-და-სხვა ერე-
ბი სცხოვრობს, ყოველმა ერმა უნდა მიიღოს თა-
ვის სიმრავლის დაგვარად იმ ბიუჯეტის ნაწილი,
რომელიც გადადებული იქნება კულტურულ-განმა-
ნათლებელ საჭიროებისათვის. ამ ნაწილის მოხმარე-
ბა შეუძლიან ერთგნულ თვით-მმართველობრივ ნია-
დაგზე.“

ეს იმასა ნიშნავს, რომ ავტონომიური სეიმი
ამა თუ იმ კუთხისა მთელ ბიუჯეტს ჰყოფს ერების
რეცხვის პროპორციონალურად და აძლევს ამ ერებს.
ყოველ ეროვნებას ეყოლება თავისი ნაციონალური
სეიმი, რომელიც განაგებს თავის ერის კულტურულ
საქმეებს. პროგრამმის ამ მუხლში ნათლად არის
ალიარებული ის პრინციპი, რომ ეროვნული სა-

კითხი არ უნდა აურიოთ ადგილობრივ საკითხთან, რომ ერთა კულტურული მოთხოვნილებანი მთელ სახელმწიფოში დაკმაყოფილებულ უნდა იქნას და არა რომელსამე იმის ნაწილში. ის მუხლი სოც.-რევოლიუციონერთა პროგრამისა, რომელიც მე მოვიყვანე, ეხება მხოლოდ იმ მხარეებს, სადაც სხვა-და-სხვა ერთ სცხოვრობს. თუ რუსეთში არის სად-მე ისეთი მხარე, სადაც მხოლოდ ერთი ერთ სცხოვ-რობს, მაშინ იქ, რასაკვირველია, საკმარისია ვრცე-ლი ადგილობრივი ავტონომია, მაგრამ ასეთი მხა-რე რუსეთში არ არის.

თუ სოც.-რევოლიუციონერთა პროგრამმა გან-ხორციელდა, რუსეთი გარდაიქცევა ერთგნებათა ფე-დერაციად: ყოველ ერს ექნება საკუთარი სეიმი, რომელიც მიიღებს სამართლიან ნაწილს კულტუ-რულ-განმანათლებელ საჭიროებაზედ გადადებულ ბიუჯეტიდან. ეს სეიმი ამ ფულს ისე მოიხმარს, როგორც თვით უნდა. ყოველი სკოლა, თუ უნი-ვერსიტეტი, ან სხვა რომელიმე ეროვნული დაწე-სებულება. რომელსაც ეს სეიმი დაარსებს, უნდა ითვლებოდეს სახელმწიფო დაწესებულებად. რად-გან სხვა-და-სხვა მხარეს მინიჭებული იქმნება ადგი-ლობრივი ავტონომია და ამნაირად ცენტრალურ პარლამენტის ფუნქციები დანაწილდება, ამიტომ ცენტრალურ ნაციონალურ სეიმის ფუნქციებსაც გაინაწილებენ ადგილობრივი ნაციონალური ორ-განიზაციები. მაგალითად, ქართველი ერი მიიღებს ერთგნულ ავტონომიას. ქართველ ერს ექმნება თვისი სეიმი, რომელიც განაგებს ქართველების ნაციონა-ლურ და კულტურულ საქმეებს. ამ სეიმის მოღვა-წეობა დამოკიდებული არ იქნება არავითარ ად-გილზე. თუ ის ფული, რომელსაც ეს სეიმი მიი-ღებს ადგილობრივ ავტონომიურ თვით მართველო-ბისაგან კულტურულ საჭიროების დასაკმაყოფილებ-

ლად საკმაო არ იქნება, მაშინ სეიმს უფლება უნდა ჰქონდეს თავის ერს გადასახადი დაადოს და ამნაირად იშოვოს საჭირო თანხა... .

ამ წერილს ვწერდი, როდესაც კაუცკის პატარა წიგნაკი გამოვიდა, სახელად „ერების ბრძოლა ავსტრიაში“. სასიამოვნოა, როდესაც პხედავ, რომ გერმანიის ს.-დემოკრატიის მეთაური ისევე სწყვიტავს ეროვნულ საკითხს, როგორც რუსეთის სოკ.-რევოლიუციონერთა პარტია: საჭიროდ ვსთვლი დავანახვო ჩვენს სოკ.-დემოკრატებს, ნამეტნავად ქართველებს, რამდენად განსხვავდება კაუცკის და მათი შეხედულ ება ამ საგანზედ. კაუცკის აზრით, ავსტრია კულტურულად უკან ჩამორჩენილი ქვეყანაა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში სხვა-და-სხვა ერთმანეთს ებრძვიან, ეს ეროვნული ბრძოლა პროლეტარიატის კლასობრივ თვით—შეგნების განვითარებას აფერხებს ამიტომ ავსტრიის სოციალდემოკრატია სცდილობს ყველა ერის თანასწორობა დაამყაროს. როდის დამყარდება ეს თანასწორობა? კაუცკი ამ კითხვაზედ შემდეგ პასუხს გვაძლევს: „მხოლოდ მაშინ, როდესაც დამყარდება ნაციის ფედერალიზამი და მიწების სახელმწიფო—ერების სახელმწიფოდ შეიცვლება“. იმავე გვერდზედ იგი ამბობს: „ძირს ტერრიტორიალური საზღვრები, რომელნიც ჰყოფენ რამდენსამე ნაწილად ერთსა და იმავე ეროვნებას, რომელნიც იწვევენ ბრძოლას და სიძულვილს იმ ერთა შორის, რომლის მეგობრულ და ძმურ მუშაობას შეეძლო გარდაექმნა ავსტრია ერთ უკულტურულეს სახელმწიფოდ“.

როგორც უკვე აღვნიშნე, ტერიტორიის დამოუკიდებლადვე სწყვიტავს ეროვნულ საკითხს რუსეთში ებრაელების მუშათა პარტია „ბუნდი“ და სოციალისტ—რევოლიუციონერები, ასევე სწყვიტავს ამ საკითხს ავსტრიის სოციალ-დემოკრატია რ

გერმანიის ს.-დემოკრატთა მეთაური კარლ კაუცკი. არც შეიძლება სოციალისტმა სხვა ნაირად გადასწყვიტოს ეს საკითხი, თუ-კი ღრმად ჩაუკვირდება. მხოლოდ მაშინ, როდესაც ყოველი ერი მიაღწევს ნაციონალურ ავტონომიას და ფედერატიულად დაუკავშირდება სხვა ერებს, შეუძლებელი გახდება ერთის ერის მიერ მეორის დაჩაგვრა; მხოლოდ მაშინ შესძლებს ყოველი ერის მუშა ხალხმა შეიგნოს თავის კლასობრივი მდგომარეობა და იბრძოლოს თავის სოციალურ მტრის წინააღმდეგ.

„როდესაც ეროვნება სრულიად თავისუფალი იქმნება, — ამბობს კაუცკი: — მხოლოდ მაშინ შესძლებს პროლეტარიატი (ჩვენ ვიტყვით, მუშა ხალხი) თავისუფლად ბრძოლას. პროლეტარიატის ნორმალურ განვითარებისათვის იმის ერის თავისუფლება ისევე საჭიროა, როგორც საერთო საარჩევნო უფლება, კრების და ბეჭვდის თავისუფლება“.

ძვირფასი სიტყვებია. ვურჩევ ჩვენ სოციალდემოკრატებს, კარგად ჩაუკვირდნენ ამ აზრს და ხან-და ხან გადაათვალიერონ ხოლმე ისეთს ცნობილ სოციალდემოკრატების ნაწერები, როგორიც არის კაუცკი. თუ ჩვენ არა, იქნება იმათ მაინც შეაგნებინონ, რაში მდგომარეობს მუშა ხალხის ნამდვილი საჭიროებანი.